ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №75

ქ. ქობულეთი

17 აპრილი 2014 წელი

ერთის მხრივ, ქობულეთის მუნიციპალიტეტი (შემდგომში - შემსყიდველი"), წარმოდგენილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ელგუჯა ბაგრატიონის სახით და მეორეს მხრივ შპს „პირველი" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი გენერალური დირექტორის დიმიტრი ტიკარაძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობისა და გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ხუთი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ოთხი-შემსყიდველს.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის კუთვნილ ვებ-გვერდზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის შესახებ შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება (48200000).

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. მომსახურების ღირებულება შეადგენს 94.40 (ოთხმოცდათოთხმეტი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარს.

3.2. მომსახურების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

## 4. ანგარიშწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშწორებით, მიღება-ჩაბარების აქტისა და ელექტრონული ა/ფ წარმოდგენიდან 10 კალენდარულ დღეში.

# ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

## ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ქობულეთი

17.04.2014 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ ვებ-გვერედზე ინფორმაციის გამოქვეყნების მომსახურების შესყიდვაში (კოდი CPV 48200000 - ქსელების, ინტერნეტისა და ინტრანეტის პროგრამული პაკეტები), შპს „პირველი“-ს მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ქობულეთის მუნიციპალიტეტი

საკრებულოს თავმჯდომარე

ელგუჯა ბაგრატიონი